



№ 012756/31

31/08/2021

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პრეზიდიუმის**

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საჩივრის
განუხილველად დატოვების შესახებ**

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი (შემდგომ – პრეზიდიუმი) შემდეგი
შემადგენლობით:**

1. ერეკლე მექვაბიშვილი – გენერალური აუდიტორი;
2. ნოდარ ჯავახიშვილი – გენერალური აუდიტორის მოადგილე;
3. გიორგი კეკელიშვილი – საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
4. ზაზა შეყილაძე – სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
5. კახაბერ კირტავა – აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
6. ნოე ქაშიბაძე – აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
7. გიორგი მამრიკიშვილი – თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
8. გიორგი კაპანაძე – ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
9. ალექსანდრე გოგოლაშვილი – აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
10. ზაზა გელაშვილი – შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
11. ნატო ზაალიშვილი – იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
12. ვაჟა ბრაგვაძე – ადმინისტრაციის უფროსი;
13. ცოტნე ქარქაშაძე – სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის უფროსი.

საჩივრის ავტორი:

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

დავის საგანი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 21 მაისს დამტკიცებული სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ საინვესტიციო ვალდებულების სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემის 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტის N32/36 ანგარიში.

აღწერილობითი ნაწილი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2021 წლის 27 ივლისს საჩივრით (სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N11661/29) მიმართა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ – სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ საინვესტიციო ვალდებულების სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემის 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის (N32/36; 21.05.2021 წ.) ბათილად ცნობის მოთხოვნით.

პრეზიდენტის 2021 წლის 2 აგვისტოს N011900/30 სხდომის საოქმო ჩანაწერის შესაბამისად, საჩივრის ავტორს დაუდგინდა ხარვეზი აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების ვადის ნაწილში და მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით.

საჩივრის ავტორმა, დადგენილ ხარვეზთან დაკავშირებით, პრეზიდენტის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინა წერილობითი მოსაზრება (სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: N12676/01; 26.08.2021 წ.), სადაც აღნიშნულია: ვინაიდან აუდიტის ანგარიშში არ ყოფილა მითითებული გასაჩივრების წესი, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საჩივარი, სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, წარდგენილ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით (1 წლის ვადაში) და არ არსებობს „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველის ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

II

სამოტივაციო ნაწილი:

პრეზიდენტი საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ განუხილველად უნდა დარჩეს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 27 ივლისის საჩივარი (სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N11661/29), შემდეგ გარემოებათა გამო:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი, საქართველოს კონსტიტუციის (მუხლი 69, პუნქტი 6) შესაბამისად, განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ (შემდგომ – ორგანული კანონი).

ორგანული კანონის (მუხლი 23, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“) თანახმად, აუდიტის ობიექტს უფლება აქვს გაასაჩივროს აუდიტის ანგარიში ამ კანონით დადგენილი წესით.

ორგანული კანონის (მუხლი 27, პუნქტი 4) მიხედვით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებაზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ამ კანონის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ამდენად, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის გადასაწყვეტად, გასაანალიზებელია/გამოსაკვლევი ორგანული კანონით დადგენილი აუდიტის ობიექტის სამართლებრივი დაცვის უფლების უზრუნველყოფის წესი (სამართლებრივი გარემოებები) და მისი შესრულების მდგომარეობა (ფაქტობრივი გარემოებები).

სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად დადგინდა:

ორგანული კანონის (მუხლი 20, პუნქტი 6, ქვეპუნქტი „ბ“) შესაბამისად, აუდიტის განმახორციელებელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეები ვალდებული არიან აუდიტის ობიექტს გააცნონ აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი, რაც ამ კანონის (მუხლი 23, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“) თანახმად, აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესის განმარტებასაც მოიცავს.

აუდიტის განმახორციელებელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეები აუდიტის ობიექტისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევისას მოქმედებენ საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ორგანული კანონი, მუხლი 5, პუნქტი 2; მუხლი 26, პუნქტი 1),

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის (ორგანული კანონი, მუხლი 8, პუნქტი 4) და აუდიტის მეთოდოლოგიის (ორგანული კანონი, მუხლი 26, პუნქტი 2) საფუძველზე.

დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, აუდიტის ობიექტს ეგზავნება წერილი აუდიტის დაწყების თაობაზე, რომლითაც, სხვა პროცედურულ საკითხებთან ერთად, ეცნობება აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი. კერძოდ, ორგანული კანონის (მუხლი 27, პუნქტი 1) თანახმად, აუდიტის ობიექტები, რომლებიც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, არიან ადმინისტრაციული ორგანოები, უფლებამოსილი არიან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივრონ მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ორგანული კანონის (მუხლი 27, პუნქტი 3) თანახმად, ვადის დარღვევით წარდგენილი საჩივარი განუხილველი რჩება კანონით დადგენილი წესით.

ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგინდა:

აუდიტის ობიექტის სამართლებრივი ინფორმირების უზრუნველსაყოფად, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს გენერალური აუდიტორის მოადგილის 2019 წლის 27 სექტემბრის წერილით (N008157/26) ეცნობა აუდიტის დაწყების შესახებ და განემარტა: აუდიტის საგანი და სახეობა; აუდიტის მიზანი, კრიტერიუმი და მასშტაბი; აუდიტის სტანდარტები; აუდიტის ობიექტთან კომუნიკაციის საკითხები; აუდიტის პროცესში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეების და აუდიტის ობიექტის უფლება-მოვალეობები, მათ შორის, აუდიტის ანგარიშის სახელმწიფო აუდიტის სამსახურში გასაჩივრების შესაძლებლობა მისი ჩაბარებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

აღნიშნული წერილი აუდიტის ობიექტს გაეგზავნა უწყებათაშორისი დოკუმენტბრუნვის სისტემის – Interflow-ს მეშვეობით, რომლის მონაცემების შესაბამისად, წერილი აუდიტის ობიექტს იმავე დღეს (27.09.2019 წ.) ჩაბარდა.

საქმის მასალებით ასევე ირკვევა, რომ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს აუდიტის ანგარიში ჩაბარდა 2021 წლის 28 მაისს, რაც დასტურდება გზავნილის ჩაბარების შესახებ საქართველოს ფოსტის დოკუმენტით. შესაბამისად, აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების ვადა იჭურებოდა 2021 წლის 17 ივნისს, ხოლო აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი საჩივარი 2021 წლის 27 ივლისით არის დათარიღებული.

მოცემული სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება, რომ აუდიტის ობიექტის მიმართ დაცული იყო ორგანული კანონის დანაწესით გათვალისწინებული აუდიტის განმახორციელებელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეების მოვალეობა აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების და აუდიტის ანგარიშის გაცნობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდიუმი მიიჩნევს, რომ სახეზეა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ვადის დარღვევით წარდგენილი საჩივრის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

III

სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა რა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლით, 27-ე მუხლით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-8 და მე-9 მუხლებით,

პრეზიდიუმმა გადაწყვიტა:

1. სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 27 ივლისის საჩივარი (სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N11661/29), სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 21 მაისს დამტკიცებული სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ საინვესტიციო

ვალდებულებების სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემის 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტის N32/36 ანგარიშის ბათილად ცნობის თაობაზე, დარჩეს განუხილველი.


2. გადაწყვეტილება გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6).


ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი



ნოდარ ჯავახიშვილი
გენერალური აუდიტორის
მოადგილე




გიორგი კეკელიშვილი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



ზაზა შეყილაძე
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი



კახაბერ კირტავა
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში



ნოე ქაშიბაძე
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური /
თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი



დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კაპანაძე



ალექსანდრე გოგოლაშვილი
აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი




სახელმწიფო აუდიტის სამსახური / შიდა აუდიტის
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ზაზა გელაშვილი



ნატო ზაალიშვილი
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



ვაჟა ბრაგვაძე
ადმინისტრაციის უფროსი



ცოტნე ქარქაშაძე
სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული
ანალიზის დეპარტამენტის უფროსი

